

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4

2017 წლის 24 ოქტომბერი

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის №37 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: სსმ, ვებგვერდი www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016156; 25/11/2014) შეტანილი იქნას შემდეგი დამატება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტს დამატოს შემდეგი შინაარსის „დ¹“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„დ¹) „საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების დამტკიცების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად ადმინისტრაციული ქმედების განხორციელება და „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი“ საქართველოს კანონის 43¹-ე და 43²-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევაზე სათანადო რეაგირება;“


ბ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტს დამატოს შემდეგი შინაარსის „ა¹“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ა¹) ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 43¹-ე და 43²-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევაზე;“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარე



ამირან ცინცაძე